სახელი, გვარი: _____

ამოცანა ამოხსენი რვეულში და ტესტში ჩაწერე მიღებული პასუხი.

დავალება N1

ორ ქალაქს შორის მანძილი ავტობუსმა 2სთ-ში გაიარა. რა დროში გაივლიდა იმავე მანძილს, თუ 2-ჯერ მეტი სიჩქარით იმოძრავებდა?

დავალება N2

მდინარის დინების სიჩქარე 4კმ/სთ-ია. რა სიჩქარით იმოძრავებს მდინარეში ჩაგდებული ხის ნაფოტი?

დავალება N3

ორი ქალაქიდან, რომელთა შორის მანძილი 280 კმ-ია, ერთმანეთის შესახვედრად ერთდროულად ორი ავტომანქანა გამოვიდა. ავტომანქანები ერთნაირი სიჩქარით მოძრაობდნენ. ქალაქებიდან რა მანძილზე შეხვდებიან ისინი ერთმანეთს?

დავალება N4

კატერის სიჩქარე ტბაში 23 კმ/სთ-ია, მდინარის დინების სიჩქარე კი - 2 კმ/სთ. რა მანძილს გაივლის კატერი დინების მიმართულებით 3 საათში?

დავალება N6

მდინარის დინების სიჩქარეა 2 კმ/სთ, ხოლო ნავის საკუთარი სიჩქარე 6 კმ/სთ. ბექამ ნავით დინების საწინააღმდეგო მიმართულებით 4 სთ იმგზავრა. რამდენ ხანში დაბრუნდება ბექა უკან?

LIVEWORKSHEETS